

# ბებელი

იუმორისტული  
ჟურნალი

№ 6

# მეგობრები

ფასი 10 კაპ.

კვირა, 5 აპრილი

1915 წ.



„წითელი მათრახი“  
პატრონობს დაქრილებს,  
გახიზნულ ეშმაკთა,  
მათ ცოლებს და შვილებს.

მიზანი წმინდაა,  
განზრახვა ღიადი,  
დროც ხელსაყრელია,  
ვით ღამის წყვილია.

მაშ გასწით, მოჰკრიბეთ,  
დროც ოქრო, ფულია...  
დიდ ამბებს მოველით,  
აწ გაზაფხულია!

(იხ. „წითელი მათრახი“).

# გაცრუებული იმედი.

(ჩემი მოგზაურობა ქუთაისში.)

ქველმოქმედებას დავემალე. თფილისიდან ქუთაისის გადავიხვეწე ვიფიქრე: იქ არც გაქცეულეზობია, არც დაქცეულები, იქნებ ორიოდ დღე თავოსუფლათ ამოვისუნთქო მეთქი.

გეგმა არ იყო ურიგოთ მოფიქრებული, მაგრამ სამწუხაროთ გათავდა, როგორც ბრძოლა სარიყამიშთან ოსმალთათვის.

გეგუთის ქუჩაზედვე შევნიშნე ის კაცი, ექვის თვალით რო მიყურებდა.

გავუჩქარე.

გამოუჩქარა.

შევუხვიე.

შემოუხვია.

კვლავ ეჭვიანობა სისულელის მოსაზღვრე იქნებოდა. მოვშვი და გავეჩანე. რა სიფრთხილე არ ვიხმარე, მაგრამ სამოცი ქალი მაინც გადავჩეხე ვიწრო ტროტუარიდან. უცნობი კვალ და კვალ მომდევდა. შევშინდი. გამახსენდა ანდაზა: „შიში მიჩვენე, გაქცევის გიჩვენებო“. და ქარივით მოეკურცხლე. შემოვუბრინე ბულვარს და ავყვევი ივანოვის ქუჩას. უცნობიც მომდევს, მომდევს თავგადადებით. საფიჩხიას ეკლესიიდან დავეშვი ძველი თფილისის პროსპექტი. ვხედავ ღონე მალატობს, მუხლი მიდუნდება, მდევარი თან და თან მიახლოვდება. ბრაზი მომდის ჩემს თავზე, ჩარბებს ვიკნეტ, მაგრამ ეს რას უშველის მოდუნებულ კუნთებს?!

სილოვან ხუნდაძის სახლთან დამეწია იგი, უკვე წაქცეულსა და ღონე მიხდილს.

— უთუოდ უნდა მოაწერო ხელიო, უკანასკნელათ ჩამესმა ყურში და როცა თვალი გავახილე, ჩემს ახლო, მეგობრის მზრუნველი ხელი ვაკრძენ. პატარა, მაგრამ მშვენიერ ოთახში ვიწვი.

— შეგაშინეს, ეშმაკო? ალერსით მითხრა სერგომ.

— შემაშინეს ძმაო, შემაშინეს!

— ასე იციან ჩვენს ქუთაისში.

— კი მარა, რაფერ-უუუ!... დარცხვენილი კილოთი დავიწყე საქმის გამოკითხვა.

— შესცდით ძმაო ეშმაკო, შესცდით! შენც შეცდი და იგიც შეცდა.

— კაცო, ვინ იგი?

— ვინა და ჩვენი გიმნაზიის სტოროჟი.

— რის სტოროჟი, რა სტოროჟი?

— უბრალო საქმეა. შენ სილოვანი ეგონე ჩვენს სტოროჟს და გამოგვიკიდა.

— კი მარა რათა, რისთვის?

— რისთვის და ხელი არ მოგვიწერა.

— დალაგებით გამაგებზე, მითხარი რაშია საქმე.

— საქმე აი რაშია: სათავად-ახნაურო გიმნაზიის დირექტორათ, თუ გახსოვს, დანიშნეს ოცხელ...

— ვინ დანიშნეს ოცხელი?

— ოცხელი კი არა, — ოცხელი. ოცხელი გვარია და მართლაც ოცი ხელი უნდა ჰქონდეს კაცს, რომ ამდენ საქმეს გაუძღვას.

— მერე?


— მერე ისა, რომ ოცხელს შეუსრულდა მოღვაწეობა 19 მარტს და ჩვენ ვაგროვებთ შემოწირულებას საჩუქრის მისართმევათ. ყველამ მოაწერა ხელი გარდა სილოვანისა. მე და იასონმა, რასაკვირველია, პირველათ მივეცით მაგალითი. წარმოიდგინე ნიჟარაძე გვყავს ერთი, ყვავი კაკალს ვერ გაადებინებს და იმანაც კი გამოიღო თავის კაი მსხვილი წვლილი. პარტო სილოვანი გაჯიუტდა:

— რა დროს ოცხელის საჩუქარი, „ქვეყანა იქცეოდა ტურას ქორწილი ქონდაო.“ ჩვენი სტოროჟი, რომელსაც სია დააქვს მასწავლებლებთან ხელმოსაწერათ, სილოვანს უთვალთვალებდა. იმ დროს შენ გამოიარე და რაკი მიგამსგავსა, გამოგეკიდა კიდეც. მადლობა ღმერთს კიდეც ასე გათავდა საქმე. ჩვენ იმედიც არა გვქონდა შენი გამობრუნების. იასონი უკეიშთან გაიქცა. ჩვენ იმიტომ ვწუხდით, ასე, რომ ეგ საქმე ჩვენი გამოწყებულია და შენ რომ რამე შეგმთხვევოდა, ჩვენ დაგვაბრალებდენ.

მე გული მომიბრუნდა. მეგობრებს მადლობა ვუთხარი და შევბირდი დირექტორი ოცხელის პატივსაცემათ ოცხელ იმისი კარიკატურის დახატვას და ოცი პაქკა კარანდაშის ჩუქებას, ვინაიდან მას გიმნაზიისთან ერთად ოცხელი ვაქრობაც ჰქონია გაჩაღებული.

დღეს, როცა გულდამშვიდებ-თ ვიგონებ იმ საშიშ აზბავს, თითქო არაფერიო, მაგრამ უმადურობა იქნებოდა ჩემი მხრით, მადლობა არ მეთქვა იმ კეთილ ადამიანთათვის, რომლებმაც ჩემი თავი, (შეცდომით სილოვანად მიღებული) გამოპკლიჯეს ხელიდან განფთრებულ სტოროჟს.

ეშმაკი.



„წითელი მათრახი“

ეშმაქო! აწ სმენად  
 ალახვენ ყურები,  
 თუ მამულს იფარავ,  
 მას ემსახურები!  
 სასტიკი ბრძოლაა,  
 სასტიკი თავდასხმა,  
 ერიშის მიტანა,  
 დესანტის გადასხმა,  
 საგერში ჩაჯდომა,  
 ბრძოლა ხელ-ჩართული,  
 სანგრევი ფორტები,  
 საგლეჯი მართული.

არ ვიცით რა არის  
 ჩვენ უკან დახევა.  
 არ ვიცით რა არის  
 ყოყმანი და რყევა.  
 მიედივართ ერიშით  
 სულ წინ და სულ წინა,  
 იმ პლანს და გეგმაზე,  
 როგორაც უწინა.

მრავალი ეცემა  
 მტრის მახვილ ნაკრავი.  
 მამულის სამსხვერპლოთ  
 ვით მტრედი და კრავი.  
 ზარალი დიდია  
 ხარჯები მრავალი,  
 შემეცირდა ვაჭრობა  
 და შემოსავალი.


აწ სესხი გვჭირია,  
 ილევა ქანქარი...  
 ეშმაქო, ეგ თქვენი  
 სიუხვე სად არი?  
 აღიღეთ ყულაბნი  
 გულს დასაკიდათა  
 ყოველი კაპიკი  
 გვჭირია დიდათა.

„წითელი მათრახი“  
 პატრონობს დაჭრილებს,  
 გახიზნულ ეშმაქთა,  
 მათ ცოლებს და შვილებს.  
 მ: ზანი წმინდაა,  
 განზრახვა დიადი,  
 დროც ხელსაყრელია,  
 ვით ლამის წყვედიადი.


მაშ ზგასწით, მოჭკრიბეთ,  
 დროც ოქრო, ფულია...  
 დიდ ამბებს მოველით,  
 აწ გაზაფხულია!

ეშმაკი.


ო მ ი ს ი ლ ი უ ს ტ რ ა ც ი ა



ბელგიელი მსროლელები.



ბელგიელთა ჯავშნიანი ავტომობილი.



ომის შემდეგ.

## ნაცნობთა სურათები

ჩვენ ყველანი კარგათ ვიცნობთ იმ საზოგადო მოღვაწეს.

და პატივს ვცემთ კიდეც:

რადგან მეტის მეტათ ღინჯი, დარბაისელი, ზრდილობიანი და ღვაწლმოსილია.

გარეგნობაც ისეთი აქვს, რომ შეუძლებელია პატივის ცემით არ მოეპყრა:

ხომ გინახავთ ორი პარალელი სურათი: „Торговалъ за наличныя— торговалъ въ кредитъ“.

ნაღდზე მოვაჭრე ჩასუქებული, პირმოდიმარი, ყოვლად კმაყოფილის და ბედნიერი სახის კაცია.

ნისიათ მოვაჭრე კი გამხდარი, ჩაფლეთილი, თვალმზერა ჩაცვივნილი—ერთი სიტყვით უბედური აღამიანია.

სწორეთ პირველს, ე. ი. ნაღდზე მოვაჭრეს ჰგავს ჩვენი ნაცნობი მოღვაწე.

მოდი და პატივს ნუ სცემ ასეთი გარეგნობის კაცს!

და განა მართო გარეგნობა!

ეს ის საკვირველთ მომქმედი მოღვაწეა, პედაგოგია და კომერცია რომ შეთქვიფა და შეადულა...

პედაგოგი კომერციაში და კომერსანტი პედაგოგიაში.

ღირეკტორი ვაჭარი!

რომელიც განაგებს საკუთარ მაღაზიას და საზოგადოებრივ სასწავლებელს.

და ხშირათ ურევს კიდეც ამ ორ დაწესებულებას:

რადგან კარგათ ვერ გამოურკვევია, რომელი უფრო მეტს მოგებას აძლევს: მაღაზია თუ სასწავლებელი?

აბა ვის შეუძლიან სთქვას, სად არის საზღვარი ამ მოღვაწეში ვაჭარსა და პედაგოგს შორის!..

როდისაა ის უფრო გულწრფელი:

—კარანდაშებს და რვეულებს რომ ჰყიდის მაღაზიაში, თუ

—მაღალ ფარდოვან დარიგებებს რომ უკითხავს შევირდებს სასწავლებელში.

და, საღამოობით, ჯერ მოწაფეთა რვეულებს ასწორებს თუ ღლიურ ნავაჭრის ჯამს ანგარიშობს? ნეტა ვიცოდეთ:

რას გრძნობს ეს ჩვენი ვაჭარი-მასწავლებელი მაშინ, როდესაც თავის ფეხშიშველა შევირდებისაგან თითო კალაში მეოთხედ კაპიკს იგებს!...

და კიდეც მაშინ, როცა ამავე შევირდებს სას-

წავლებლიდან ითხოვს, გაცვეთილი წაღები რათ გაცვიოთ.

ახ, სამართალო!

რატომ ცეცხლი არ გაუჩნდება მაშინ თვითონ მის წაღებს, ან რატომ გულის გამგმირავი ხმით არ აღაღადლებიან მის ჯიბეში, კალმებში და რვეულებში მოგებული კაპიკები?!...

ღირეკტორ-კომერსანტს ერთი მეტოქეცა ჰყავს:

—მასწავლებელი—კომერსანტი,

წინეთ ღირეკტორის ამხანაგი, ეხლა კი მისი მოქიშვე.

ოჰ, ღმერთო ჩემო, როგორ სძულთ ერთმანერთი ამ ორ მოქიშვეს.

მოწაფეებს ხომ შიშით აკანკალებს:

—სად ვიყოლო „ბუნების კარი“ -- ფიქრობს პატარა შევირდი და თვალმზერა აქეთ-იქით აცეცებს ქუჩაში;

—ღირეკტორის მაღაზიაში ვიყოლო—მასწავლებელი შემიტყობს, მასწავლებლის მაღაზიაში შევიდე, ვაი თუ ღირეკტორმა დამინახოს!

საწყალი ბავშვი!

განა მე არა მაქვს ნება ვიფიქრო, რომ მასწავლებელმა ჩემ შვილს ორიანი მიტომ დაუწერა, რომ ჩემმა შვილმა გუშინ ღირეკტორის და არა მასწავლებლის მაღაზიაში იყიდა საშრობი ქაღალდი!?

ვინ დამიშლის ასეთი ეჭვის გატარებას?

ასეთია ერთი მასწავლებელთაგანი.

დანარჩენნი?

დანარჩენთ, ღვთის წინაშე, მაღაზიები არა აქვთ, მაგრამ ამ უმაღაზიობას მათ სასწავლებელი უნაზღაურებს.

რადგანაც, ღირეკტორის მაგალითისამებრ, უმრავლესობა ამ პედაგოგთა ისეა გაელენთილი მერკანტილური სულით, რომ თვით სასწავლებელს, მგონი, მაღაზიით სთვლიან და მოგების თვალსაზრისით უტკეპრიან.

ღირეკტორი—ვაჭარი!

მასწავლებლები—ნოქრები!

—მოქნილნი, მორჩილნი, დამჯერენი.

ანარეკლები თავიანთ ღირეკტორისა, თავიანთ აღისა!

თვალეში შესცქერიან აღას, მის სურვილებს კითხულობენ...

წმინდათ, უმწიკვლოთ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას:

—ყოველ ოც რიცხვს სინდისიერათ იღებენ ჯამაგირებს.

ამ ბოლო დროს, მგონი, ორმაგსაც!

მერე აღზრდის საქმეს არ იკითხავთ?

როგორ ახალგაზრდებს ზრდიან ეს საინტერესო პედაგოგები?

—ჩინებულთ: ნამდვილ რაინდებს, უშიშროებს და უმწიკლოებს.

უპირველეს ყოვლისა ჩვენი პედაგოგები მამულიშვილები არიან და ამისდა მიხედვით მთავარი მათი საზრუნავი შემდეგია:

—განავითარონ შეგირდებში „ეროვნული სული“, მამულიშვილური მიდრეკილება...

რათა შეგირდებმა დროზე დაუშინონ მამულის მტრებს ბოლოკები და სასტიკათ სცემონ ქუჩაში საკუთარ მასწავლებლებს.

ოოო, დამიჯერეთ: ჩვენი პედაგოგები მტკიცეთ იცავენ „ეროვნულს სულს“.

მათ კორპორაციას „უცხო ბანაკის“ კაცი ვერ შეეპარება!

ხუმრობა ხომ არ არის!

„უცხო ბანაკის“ ხალხმა ფეხი რომ მოიკიდოს სასწავლებელში, ხომ დაიღუპა საქართველო!

ხომ მოისპო ბოლოკების სროლა და მასწავლებლების ცემა!...

ყველაზე უფრო საამური და გულის ამაჩუყებელი მასწავლებელთა და მოწაფეთა ურთიერთობაა.

ნამდვილი ამხანაგური, მეგობრული.

მასწავლებელთა დევიზია:

—სრული ნდობა მოწაფეების!

მათი გული ღიაა მოწაფეთათვის.

არ არის ისეთი საიდუმლო, რომ მოწაფეებს არ გაუმეღავენ.


განსაკუთრებით გაზაფხულზე იჩენს თავს ეს საამური გულახდილობა.

თოვლის ზეწარი დნება, ყინულის ბორკილები იმსხვრევა, ბუნება აღარაფერს მალავს და მთელი თავისი მშვენიერება საყოველთაოთ გამოაქვს გაზაფხულის მზის სხივებზე.

მაშინ ჩვენი პედაგოგებიც, ბუნების ღვიძლი შვილები, ისეთივე გულღიახდებიან თავიანთ მოწაფეთათვის, როგორც თვით გაზაფხულის ბუნება...

აი, ნამდვილი იდილია, ყველასათვის საამური და მისაბაძი...

და განა მარტო ეს არის; მისაბაძი ამ სასწავლებლის ცხორებაში? **ფილაკვანი.**



# სიზმარი

აკაკის გარდაცვალების გამო.

(მოგონება ნატ. გიგაური-გაბაე-გაბონელისა, ეშ-მაკის შენიშვნებით)

„თვით იუბილზე, მოსალოც მოკლე სიტყვით ეს მოგახსენე: მეტათ მიმარჩის რაიმე სიტყვის წარმოთქმაც კი თქვენს წინაშე ახლა — მეთქი...“

„მაგონდება ჩემ მიერ ნახული სიზმარი, თქვენთან ნა-ამბობი; მის მოსმენაზე ღვთიური სახე შენი, რალაც შექ-მფი-ნავი შარავანდელით შემოსა და მოღიზარა დიდ ხანს გაჩუ-მებულმა მიტკირე.“

„მრავალმა ხალხმა—ვით ჭიანჭვლის გროვამ თითქო დაჰფარა ქვეყანა და მოისმა ყრიაშული, უცნაური ხმაურობა! შევირბინე ერთ ცარიელ ოთახში, რომელიც ანაზღად გაშუქდა ბრწყინვალე შუქით! და—ამას რას ვხე-დავ: ოთახის ქერში, ოთხივე კუთხივე მოსჩანან ჰაერში მდგომარი—დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე—მეფურის ტანისამოსით: ილია და აკაკი ოთხივენი ნეტარის, კმაყოფილის ღმილით მაღლიდგან გადმომტკერალნი!“

გუტქერ გოცებული—ჰაერში როგორა სდგანან?! თუ სურათებია მათი კედლებზე, სარკვე აქვე სადმე, მასში მოსჩანან, მე კი ცოცხლებად მეჩვენენ ვათალიერებ კედლებს, არსადა სურათი, არსად სარკვე. ავიხედვ და ისევ და ისევ გადმოიყურებთან მხიარულნი ორი მეფე და ორი სახელოვანი მოღვაწე.“

ალბად, ბატონო აკაკი—დავათავე მომავალი კარგს გვიქადის—მეთქი! პასუხათ, ღმილით რამოდენჯერმე გაიმე-ორე: ჩინებულია და რალაცას კი უნდა ნიშნავ-დესო!“

მაგონდება ტკბილი საუბარი შენი, და ჭდაუვიწყარია ჩემთვის ეს სიტყვაც, ნიკო ნიკოლაძის დას, ანნას, რომ უთ-ხარით, დედაჩემის გარდაცვალება როცა შეიტყეთ და მან-ხულეთ დიდათ შეწუხებულმა: „რათ მინდა თავი ცოცხალი ამას ახე დამწუხრებულს ვხედავდე“-ო. (ქურა „განათლება“)

**ნატ. გიგაური-გაბაე — გაბონელისა**

**«რალაცას კი უნდა ნიშნავდეს!»**

როგორც ყოველ ქართველსა, მეც გადაქარ-ბებული მორცხვობა მჩვევია. ვიცი სიშართლე ჩემ მხარეზეა, მაგრამ მაინც ვერ გამიბეღია იმისი თქმა. ახლაც საშინლათ მიჭირს და ლამის მტყვენია!

საქართველოში შოთა რუსთაველს შემდეგ აკა-კისთანა მგოსანი არ გვყოლია.

მაგრამ იმავ საქართველოში მიხა გაჩეჩილაძის შემდეგ ჩემისთანა სიზმრის აღმსნელი არა გვყო-ლია.

ამიტომაც უნებლიეთ ჩამეცინა, როცა ქ-ნ ნატ. გიგაური-გაბაე-გაბონელის საუცხოო სიზმა-რი მგოსანს ვერ გაუგია და უთქვამს:

—ჩინებულია და რაღაცას კი უნდა ნიშნავდესო.

დალოცვილო, რასაკვირველია სიზმარი რაიმეს უნდა ნიშნავდეს, ძველი აზრი სიზმართა წარმოშობის შესახებ უკვე უარყოფილია ისეთ ავტორიტეტთან, როგორც არიან დავ. კასრამე და გრ. რობაქიძე. მაშასადამე საჭირო იყო დაახლოებით მაინც აეხსნა მგოსანს ამ არაჩვეულებრივი სიზმრის შინაარსი. ეს აკაკიმ ან ვერ შესძლო, (მომიტყვევთ ეს კადნიერება) ან ზედმეტათ მიიჩნია.

შეიძლება, იმ დროს, როცა ნატ. გიგაური-გაბაევი-გაბაონელისამ ეს სიზმარი ნახა, (50 წლის წინათ) საჭიროც არ იყო იმისი ახსნა განმარტება, მაგრამ დღეს ჩვენი ქვეყნის ცაზე დიდი ამბები ხდება და ამგვარ სიზმრებსაც ვერ დავტოვებთ უყურადღებოთ:

რას ნიშნავს ის «ცარიელი ოთახი», რომელშიაც თავისუფლათ შეიბრინა სიზმარ-მნახველმა?!

II სად უნდა ვეძიოთ ის ცარიელი ოთახი და III რა ალევგორიული მნიშვნელობა აქვს იმ ცარიელ ოთახს?

ჩემი აზრით მთელი ძარღვი სიზმრისა იმ ცარიელ ოთახშია დამარხული და ჩვენი ძალღონეც იმის გამოკვევას უნდა მივხანძროთ. ჯერ-ჯერობით აშკარა მხოლოდ ისაა, რომ ოთახი არა ყოფილა აბსოლიტურათ ცარიელი, ვინაიდან ოთხი წარჩინებული ქართველი მღვარა ჰაერზე. ოთახში ყოფილია ჰაერი.


ჰაერის მოძრაობისაგან ბევრი მოვლენა წარმოსდგება, მაგრამ ეს ძლიერ შორს წავიყვანს.

(შემდეგი იქნება)

ეშმაკი

P. S. სამწუხაროთ ხელთ არა მაქვს მ. გაჩეჩილაძის მიერ გამოცემული კბლენდარი, რომელშიაც არა უმნიშვნელო ადგილი უჭირავს სიზმრის ახსნის საკითხს და საზოგადოთ მორჩიელობას. ვეცდებით ამ მხრივაც შევეხოთ საკითხს.

—კი.



შ ა რ ა ლ ა .

ერთგვარი ქურქელი არის, უკეთ ვთქვათ, არც ქურქელი... (ფსკერი არა აქვს მათსავით და ცოტა უფრო გრძელია.)

მცენარე გინდა, ცხოველი იმისგან მოქსოვილია; ზოგს რკინის აძვეს სიმაგრე, ზოგი ნორჩი და ჩვილია.

თუ იცნოთ, სრულად იხმარეთ, არ უნდა მიკვეც-მოკვეცა; (სჯობს ჯალათობას ვერიდოთ რაკი შემთხვევა მოგვეცა.)

მოვნახოთ იარაღები სამეურნეო დარგების: თოხი, თუ ნიჩაბ-ნაჯახი უმისოთ არ ევარგების.

არა თუ ბარი, კალამიც კი საჭიროებს ამასა. (თუ თქვენ ვერ იცნოთ, დაჰკითხეთ უფროს ძმას, გინდა მამასა.)

ეს სიტყვაც შეუკვეცებლად უნდა ვიხმაროთ ამ ჟამა. (კმარა ის მსხვერპლი, რაც კოლომ ამ ხუთ კვირაში აწამა!)

მესამე წვერი არ არის საგანი ხელშესახები... სიტყვათა თამაშს აღნიშნავს თქვენაც გსმენია ეგზი.

ორ მნიშვნელოვან სიტყვებში თავისუფლებით ქროლასა, მგოსანს უქებდენ აკაკის მოსწრებულ გადმოსროლასა.

ვინც უკვე ახსნა, არ შეენის სიზანტემ დაიძაბუნოს. მან ბოლო ასო, (ხმოვანი) უთუოდ გადმოაბრუნოს...

და აი, დახეთ შარადა რა წუწკი რამე გამოდგა? შესჯამა ხალხთა სიმდიდრე ქვეყნათ რო ფეხი შემოდგა. მთელი ქვეყანა მას ებრძვის სიმკაცრით საშინელითა,

მაგრამ რა, იმას ებრძვიან  
 საკუთარივე ხელითა.  
 ჩვენც იმას ვებრძვით ამ უამად  
 მაგრამ ჩვენ ვებრძვით სხვის შინა,

ის კი ჩვენ გვებრძვის და ნაცვლად  
 ვარესი წამოგვიშინა.

კოლო.

ომის ილიუსტრაცია



საზღვარზე



კონტრიუში




შებნედეთ, როგორი  
ერიშით მიდიან!..  
ბურჟუა ეშმაკსა  
თავს დაესხმიდინ.

მას ფული ბევრი აქვს...  
(მულამ დღე იპარავს!)  
ახლა კი, შებნედეთ  
კეტით თავს იფარავს!!

მიგრამ ცდა უქმია  
თავს ველარ დაახწევს  
ის უნდა გაიღოს.  
ვალად მას რაც აწევს.

ომის ილიუსტრაცია



ომის შემდეგ




საქართველოს იუსტიციის მინისტრის  
სამსახურის განცხადება

როდესაც ყულაბი  
პირამდი აივსო,  
ეშმაკი დაითვლის:  
რამდენი არისო.

და თუ რამ აკლია  
ანგარიშ-კვალადა  
ის მასზე დარჩება  
ნისიათ, ვალადა.

ოძის ილიუსტრაცია



გაგის კონფერენციის ხელშეკრულობა მეფეთა მიერ ხელმოწერილი.

# ომი და მისი ისტორია

## ებრაელების სტრატეგია ომის დროს.

უნდა გამოვტყდეთ მკითხველთა წინაშე, რომ ავჩქარდი ჩემი გამოკვლევების ბეჭედის დროს და აბა ვის არ გავეგონება ანდაზა: „აჩქარებითა სოფელი არავის მოუქამიაო“. ებრაელთა ომების შესახებ ჩვენ ვრცლათ ვილაპარაკეთ, მაგრამ სამწუხაროთ გამოგვჩა ომის **სტრატეგია**.

ვინ იცის, ეს ერთი უდიდეს ფაქტორთაგანია ომისა იქნებ ჩვენ სრულიად გამოგვჩენოდა, თუ შემთხვევით ხელში არ ჩავგვარდნოდა სამეცნიერო პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი „განათლება“. (№ 2)

სწორეთ ამ ჟურნალშია მოთავსებული სამხედრო მღვდლის კ. ანთაძის შესანიშნავი სტატია აღნიშნული საკითხის შესახებ. მე სიამოვნებით მოვიყვანდი მთელ წერილს, ვინაიდან კილო და შინაარსი მისი სრულიად არ არის დასაძრახისი ჩვენი ჟურნალისათვის, მაგრამ ვამჯობინებ მაინც მხოლოდ ზოგიერთა ადგილების ამოკრეფა.

### სტრატეგია მსაჯულ გედეონისა.

„მსაჯული გედეონი მადიანიტილებთან ბრძოლის დროს იჩენს დიდს სტრატეგიულს ნიქს. ამ დროს გედეონს ჰყავდა 32(100 მეომარი, (დაახლოებით ერთი თათრული კორპუსი) მაგრამ მათგანში მან მხოლოდ 22000 გამოარჩია და დანარჩენი 10000 ჯარის კაცი კი დასტოვა. ამათშიც სხვანაირათ მოიქცა იგი. უნდოდა მათი გამოცდა, რომელი უფრო მომთმენი და მხნენი აღმოჩნდებოდა. აზისათვის აი რა (სტრატეგიულ) ხერხს მიმართა: იგინი წაიყვანა მან წყალზე წყლის დასალევით და შენიშნა რომ ზოგი მათგანი დაეყრდნო წყლის დასალევით და ენით ამოტლაკა წყალი ძაღლივით. ზოგიერთებმა კი მუხლი მოიყარეს და ხელის ქაქვით, პეშვით ამოიღეს წყალი და დალიეს. ასეთი მეომარნი, მომთმენნი და მხნენი აღმოჩნდნენ 22000 კაცში მხოლოდ 300. დანარჩენი 21700 სული ძაღლივით სვამდა წყალს ენითა. აი ამ სამასი კაცის ამარა შეება მადიანიტლებს გედეონი. ეს ლაშქარი გაჰყო მან სამ ნიწილათ და მიუხდა მტერს ღამით როცა მათ ეძინათ.“ („განათლება № 2)

განმარტებაც არა სჭირია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ომის დროს სტრატეგიასა. მაგრამ საყურადღებო აქ ის არის, თუ რა შორეულ წარსულში ჰქონია მას ფესვები. ჩვენ ექვი გვებადება, რომ დღევანდელი სტრატეგი ჰინდენბურგი, წინა-

პარი არ იყოს ზემო აღნიშნული ებრაელი გედეონისა.

დღევანდელ ომში სტრატეგია არ ჩამოუვარდება გედეონის დროისას, თუმცა ჯარისათვის წყლის დაღვეინება თითქმის უარყოფილია. ერთი კი ექვს გარეშეა; თუ ჯარს წყალზე მივრეკავთ, იმდენი არ გამოჩნდება ენა ტლაკია, როგორც ეს გედეონის მხედრობაში ყოფილა.

ჩემის აზრით, (და დარწმუნებული ვარ ბ-ნი ი. გე—ვა—ლიც დამეთანხმება ამაში) წყლის ტლაკვაზე უფრო მეტი მნიშვნელობა თავდასხმის დროსა აქვს. გედეონის ჯარი დაესხა მადიანიტლებს ღამით, მძინარეს. რა თქმა უნდა ნამძინარევი კაცი ყოველთვის უფრო დაიბნევა, ვიდრე ფხიზელი, თუმცა გაჯავრებულიც უფრო იქნება უდროოდ დროს გაღვიძებისათვის.

ასეა, თუ ისე, სტრატეგიას ძველთაგანვე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბრძოლის დროს. ის მოგონილია ებრაელთა მიერ და გადაეცა მემკვიდრეობა სხვა ხალხს.

მორიელი.

(შემდეგი იქნება)



### არა გვაძვს საბუთი

#### მომაგალ თაოგაზე

#### გულიწავამიტხოსო!

აქარლების უმწეო მდგომარეობამ ჩვილნიც აალაპარაკა. „სახალხო ფურცელში“ მოთავსებულია:

ჩემო ძია „სახალხო ფურცლის“ რედაქტორო, მამა ჩემმა ზამაგონა რომ ჩვენი ქართველი ხალხი გათათრებულნი არიან და ძალიან დიდ გაჭირვებაში არიან და მეც გაზეთში წავიკითხე აქარლების შესახებ. და ამიტომ გიგზავნით ერთ მანეთს. და გთხოვთ რომ ეს ფული გაუგზავნოთ ჩემ პატარა ძამია აქარლებს.

#### გაიოზ იოსების ძე იმედაშვილი (8 წლისა)

ბ-ნი გაიოზ იოსების-ძე იმედაშვილი რასაკვირველია მარტო არ არის. გაზეთებში ხშირია ასეთი წერილები და ამისათვის უმნიშვნელო არ იქნება გამოვაცხადოთ ზოგიერთი ჩვენ მიერ მიღებული წერილებიც.

I

**ძვილფასო ბიძია „ახალი მათრახის“ ლედაქციავ!**

მე პაპამ მითქოა, აწარლები, ცვენი ძმები სიმ-სილს წაწენო. მტლებმა სულ მოკლესო. იმის ტე-ლიტოლიაზე უცხოელებმა ემიგრაცია დაიწყო და თითონ აწარლები მთებსი დაიმაღლენ სიმსილითო.

გიგზანი, ძმაო ლედაქციავ, ცემს წვლილს (13 კაპ) და გეხვეწები გადასცე ცემ მამადიან პატალა ძმებს.

**შალვა ნიკოს-ძე კუტია.**

(4 წლისა და 7 თვის)

II

**საკვალელო ესმაკო ზულნალო.**

მამა ცემი სულ ტილის და ტილის აწარლების უბედულობას. მეც ამატილა გუსინ და ფული სეე-წილე სვიდი კაპეიკი. გადაწვეტილი გვაქ თვესი თითო კაპიკი სეეწილოთ კიდევ. ნუ გესინიათ.

**თამალა სიმონის-ძე მარკბილაძე.**

(ერთი წლისა და ოთხი თვის)

III

**ძამია ბიძია ლედაქციავ!**

(ეს ალბათ დედის ნაწერია)

პა-პა-პა-ა-ლ-უ-უ-უ-წა-წა-წა-რა-წა-წა-მა-მა-მა-ბუ-ბუ-ბუ-ბუ-ა-ა-ა-ი-ი-ი. (3 კაპ.)

**ჯუმბერ სოლომონის-ძე ხომალდიანი.**

(3 თვისა)

სამივე წერილი და ფული 23 კაპ აქარელთა ყოფა ცხოვრების გასაუმჯობესებლათ შემოსული ჩვენს რედაქციაში ინახება და პირველ მოთხოვნი-ლებისათანავე გადაეცემა იმ კომისიას, რომელსაც დაარსებენ სრულწლოვანი ქართველები.

**ახ. მათ. რედ.**

**ამბავი ღუელისა**

მომხდარისა ქ. ქუთაისისა ოქროპირ გრიგოლისა და მამა-იაკობის შორის, შეურაცყოფის ნიდაგზე.

**ამბავი ესე — ეშაქას!**

... და იყო ჟამი იგი უცნობი, როდესაც ახ-ლად მოვლინებულმან, წითელ-ლოყემა აკაკიმ, სცე-ნასან ზედან ქუთაისისა თეატრისა განართხო შანში-

აშვილის მიერ ახლად შობილი, მშვენიერი „ქალი გრძნეული“ და მიუსია მას ლიანგი დასაფასებლად სიტურფე-სილამაზისა მისისა.

ბჭობა ესე მოხდა დამსწრეთა თანადასწრებით, დაბადებითვე მჯდომარისა \*) თავმჯდომარისა, ბრწ-ყინვალე კიტას თავმჯდომარეობით და მეტყველთა და უტყვეთა ლაპარაკითა. მეტყველთა შორის იყო ყველასაგან ცნობილი, მაგრამ ჯერედ უცნობი, გა-მოჩენილი, მაგრამ ჯერედ უჩინარი, სიტყვით მეტ-ყველი, მაგრამ აზრით უტყვი, დიდი, მაგრამ მცი-რე, — კიტას გიჟი, ოქროპირი ვინმე გრიგოლი.

ბაგემან მისმან წარმოსტქვა სიტყვა იგი, რო-მელიც თითონ მას ძალიან მოეწონვის, მაგრამ დამსწრეთა-კი ვერაფერი გაიგის.

მოვლენასა ამასა ყური მოჰკრა ვინმე გარეწარ-მა, უსაქმოთ მოყიალემ, აყვიამ, ჯამბაზმა ვალერი-ანმა და აღწერა სიტყვა იგი, თქმული ოქროპირ გრიგოლისაგან. აღწერამან მისმან, ლიანგსა, ბჭო-ბაზე დამსწრესა, ფილტვებში უღიტინა და ხალხი სიცილისაგან მიწაზედ გორვიდეს, ... ისე, რომ დღე-სა სამსა ქუთაისის ქუჩებში ქალ-კაცთა კოტრიალ იყო. ხოლო ოქროპირ გრიგოლს, აღწერა იგი გულს მოხვდა და ვითა ნიავი სუმბუქი აფარფატა.

— შეურაცყოფილ არს თავი ჩემი და წაბილ-წულ ოქროპირი ჩემი. რქვა მან

შემოკრბენ მის გარშემო თანამოზიარენი მისნი. თავსა ზედან მათსა მჯდომარე კიტა შუა დასვეს და და შექმნეს ბჭობა. კიტას გიჟსა-ოქროპირსა გრი-გოლსა ლაპარაკი არა სურდა, მაგრამ ბრწყინვალე თავმჯდომარემ კიტამ ჰკრა ხელი ზურგზე და გა-მოაგლო იგი ასპარეზზე, და რქვა-ლაღადეყო (ესე არს ჩვეულება ბრწყინვალე კიტასი).

ოქროპირმან გრიგოლმა აიწყო მკლავები, შე-იშმუშნა, განაპო ბაგენი თვისნი და წარმოდინდა ენასა მისსა წყლიანსა სიტყვანი ტკბილ გასაგონნი, გულის დამამშვიდებელნი.

რქვა მან:

— შეურაცყოფილსა თავსა ჩემსა არა ვკადრებ ღირს ვყო ყურადღებისა ჩემისა ვილაც მჯდანელი, გარეწარი ვალერიანი, რამეთუ ცოდვასა ამში დამ-ნაშავე არს ხელმძღვანელი ვაზეთისა. გამიშვიო რე-დაქციასა მისსა, რომ ქვა ქვაზედ აღარ დავტოვო და რედაქტორი მისი გავნართხო ქვეშე ფეხთა ჩემსა! ბრძანა რა ესე სიტყვანი, ოქროპირმა გრიგოლმა

\*) ხალხის თქმულება ასე გადმოგვცემს: თურმე კიტა დაიბადა თუარა-დაჯღა. ამ სასწაულმა ისეთი გავლენა იქო-ნია ხალხზე, რომ იმთავითვე აკურთხეს იგი თავმჯდომარედ და ამიტომაც ქუთაისის გუბერნიის ყველა კრებებს კიტა თავ-მჯდომარეობს.

ორთავ შუშტებით ჰაერში რგოლი შემოხაზა, თვით შემოტრიალდა და... დაჯდა.

მოათბობრეთა შიშისაგან სული შეუგუბდის, გული აუთრთოლდის და თვალთ დაუბნელდის.

მაგრამ მაინც ჰკადრეს.

— ჩვენი ქვეყნის სასონო ოქროპირო და გმირო! მოიღე წყალობა შენი ჩვენზე მოსაზრებანი თვისნი გკადრონ მონებმან შენმან. მართალ არს, წარყვნილია ოქროპირი თქვენი, შელახულ თავმოყვარეობა შენი და დამცირებულ გმირობა შენი, მაგრამ მკლავითა და მუშტით მიწყვა სამაგიეროსი შესაფერ არს მხოლოდ გარეწართა და უვიცთა. არს სხვა საშუალება, შესაფერი თქვენის მაღალ გონიერებისა და ღირსებისა, — დუელი. აღიღე მძლავრთა ხელთა შენთა კრუბის ზარბაზანი, ყაღობისა 42 სანტიმეტრისა და გაუგმირე უტიფარი შუბლი რექტორისა მას მამა იაკობად წოდებულსა.

— ამინ! — დაღად ჰყო ოქროპირმა გრიგოლმა.

და იქმენ არჩეულნი სეკუნდანტები.

პირველი — ყველას ნაცნობი, არავის მცნობი, ორი თვალთ ბრმა, ოთხით მხედველი, — იასონი, და მეორე, — არავის ნაცნობი, სულყველას მცნობი, მდიდარი და არ რის მქონე, გულწვიადი, თავმომწონე, მალლაკისა მაღალი შთამომავალი — გრიშა.

და წარუდგენ ესე რჩეულნი, მამა იაკობსა და ჰკადრეს:

— სიტყვანი თქვენნი, აწყობილ სტამბასა შიგან კილაძისა და დაბეჭდილ გაზეთსა თქვენსა შიგან შეურაცხყოფელ არს ჩვენის გმირის, ოქროპირის გრიგოლისა! მოვეთხოვთ, — ან სიტყვანი იგი უკან წადებულ იქმნას, ანუ გამოხვიდე მასთან ბრძოლად.

მამა იაკობმა ჰკადრა:

— სიტყვისა ჩემისა უკან წადებასა ჩვეულ არ ვარ, ხოლო ბრძოლად გამოვალ. სურდეს მახვილითა, სურდეს ტყვიის მტყორცნელ იარაღითა.

რა ესე ჰკადრა, მუნ დანიშნა თვისი სეკუნდანტები:

პირველი — კაცი იგი, წარსულისა მოტირალი, მომავლისა მოცინარე, უდარდელი დარდიანი, უქმელობით მძღარი, თმახუტუკა ვალერიანი და

მეორე — უსახლკარო სახლიანი, არც მთევსელი, არცა მკელი, მძღარი და მუცელ სქელი, ენა მკვერი — ვერ მტყველი, ტან დაბალი, გულ მაღალი, ფეხებ მრუდე, ტონში — ზღუდე, სოფელსა მას იმა წმინდასა შიგან მცხოვრებ გაკრეკილ, — გადამდგარ დიაკნის-ძე — ბიქტორ.

და შეუდგენ მზადებასა ბრძოლისა.

და გამოიტანეს ქუთაისის თეატრისა რეკვიზიტადან დამბაჩები, რომელთაცა ჩახმახები მომტვრეულ აქვს და ვარდების მხოლოდ საფისტონზე მუგუზლისა დადებითა, ანუ ჩაქუჩისა დარტყმითა.

და რამეთუ ექიმაშნი და დოსტაქარნი გაწვეულ არიან დიდ ბრძოლად, მოიწვიეს ბეთალი იგი ბენედიქტე, რათა დახმარება აღმოუჩინოს დაქრილთა და წარიღო თან ბენედიქტემ იყლიმი თვისი გასასინჯათ სიცხისა მებრძოლთა და ბამბა და შესახვევი ტილო.

და რადგან ქვეყნად ახლად მოვლენილი ეტლი რომელ დაჰქრის არა ცხენით, არა ხარით, არა კამეჩით, არამედ ცეცხლითა და ნავით, — სახელი მისი არს „ავტომობილ“, — ქუთაისში არ არსებობს, მოიყვანეს დიდყურა რაშები, შეაბეს ეყენები და და ჟღარუნები, შესხდნენ ვირებსა ზედან და გაემართნენ ბრძოლად.

ოქროპირი გრიგოლი მოეცვა სიგიყესა ძლიერსა. იგი მუშტებს იქნევდის, თავს აკატუნებდის და ბრდღენავდის. ხოლო მამა იაკობი მოეცვა ქმუნვასა გულის მომწყველსა. იგი მისტიროდის გაზეთსა თვისსა „სამშობლოსა“, ცოლსა და შეიღებსა.. სწყველიდის გარეწარსა მჯღბანელსა ვალერიანსა. ასე ამბობდის: „ელუპების სამშობლოს „სამშობლო“, ია — ეკალსა და ეკალი ნაციონალ-დე-მოკრატებსა.

და მივიდნენ ადგილსა ბრძოლისა და დაბანაკდნენ.

გასტენეს დამბაჩები და შეუდგენ ბრძოლასა. ბენედიქტემ იყლიმითა მებრძოლთ სიცხე გაუსინჯა: ოქროპირს გრიგოლს აწეული აღმოაჩნდა, ხოლო მამა იაკობს — დაწეული.

და დადგა წუთი... წუთი საშინელი.

და დაუმიზნა მამა იაკობმა. და ესროლა.

დამბაჩა იგი ხელიდან გავარდა, თითონ ზურგით მიწაზე განერთხო, ხოლო მასთან ერთად, გულ განგმირული დავარდა ვირი, რომელიც იაკობის ზურგს უკან სძოვდა... და გაისმა ველად საშინელი, გულშემზარავი ყროყინი უმანკო ვირისა.

წამოაყენეს გონება დაკარგული მამა იაკობი. და აღმართა ოქროპირმა გრიგოლმა დამბაჩა... და იგრილა...

ორთავ მებრძოლნი ძირს განერთხენ. ბეთალი ბენედიქტე მივარდა, გასინჯა. ორთავენი ცოცხლები იყვნენ. ხოლო სურნელებითა და იაზმის შხურებითა მოუბრუნეს სულნი მათნი და... წამოდგნენ.

— ცოცხალ ხარ? შეჰყვირა ოქროპირმა.

— ცოცხალ ვარ! ჰკადრა იაკობმა.  
-- მაშ რაიქნა ტყვია?

მიმოიხედნეს, - მეტყველნი და უტყვენი, ერთის გარდა, ყველანი ცოცხლები იყვნენ.

სიხარულსა ოქროპირისასა არა ჰქონდა საზღვარი. მიიქრა იაკობთან, მოხვია ხელი, მიიქრა გულზე და ამბორ უყო, ხოლო როცა განეწორა, — მამა იაკობს კისერი მოტეხილ აღმოაჩნდა.

და შეიქნა სმა და გაჩაღდა ლხინი...

მებრძოლთა სიმღერასა მიდამოსა მას მშვენიერსა გაჰქონდა გუგუნნი.

ხმა მათისა ამბორისა უერთდებოდა უტყვეთა გალობასა.

ჯიხვისა რქანი გადადიოდნენ ვით ომისა ჯვარედინი ცეცხლი.

ხოლო სიტკობებსა სიმწარეცა თან სდევს.

ოდეს მებრძოლნი იგი შინ დაბრუნდნენ გემარჯვებისა მისალოცად თავმჯდომარისა, საბჭოსა მასა სავარძელსა შიგან მდებარე ნახეს ოქროპირისა გრიგოლისა ტყვიით დაქრილი ბრწყინვალე კიტა.

დასრულდა ესე ამბავი დუელისა, მომხდარისა ქ. ქუთაისისა, შორის ოქროპირისა გრიგოლისა და მამა იაკობისა, შეურაცყოფისათვის პირველისა მერისაგან ამინ.

**ფუცუტურია ლაპარტყავა.**

**არ გვინდა, არ გვინდა! \***

(სამტრედია.)

სამტრედიელ მამულიშვილებს კრება გაემართათ. თავ-პირში ტყმა, წვერ-ულვაშის გლეჯა, ვაი-ვუის ძახილი, ზარი და მთელი უბედურება იყო ესა და არა ჩვეულებრივი კრება.

დღეა, რასა გავდა ისიღორ ფილხაზიჩი, ეს ევროპიელი ჯენტლმენი! სხვა დროს ვისაც უნდა შეეყაროს, ეტლს გააჩერებს, ფეხზე წამოდგება, დაბალ სალამს მიაართვეს და ასე ვაღმობდილი დარბაისლურათ ეტყვის მეეტლეს—გარეკე ცხენებიო. დღეს კი ისიღორე ასეთი აღარ იყო.

ანტიონი: სიმწრით ქარხალივით. გაწითლებულ-იყო და ოფლის მაგივრათ შარვლის ტოტებზე რაღაც სისხლის მაგვარი სითხეც კი მოჟონავდა.

იოსები? დარბაისელი და ჭკვიანი იოსები ძლივსა ქმინიდა და ძაფის კოჭასავით უთავბოლოთ გორავდა.

\* კოპერტივი.

მაქსიმე თუმცა კაი მოყვანილი ვაქცაცია, მარა ახლა მთლათ გაღვეულიყო, წვერების გლეჯით „რალა დროისია“ „რალა დროისია“ს იძახოდა.

გიორგი სიმწრის ოფლით იყო გახვითქული. მარა, მიანც თავს იმაგრებდა და ლაპარაკის კახურ კილოს არ ივიწყებდა.

სტეფან-წმინდას თავისი ორივე სათვალე მოეხსნა (წყვილათ ატარებს), იქით-აქეთ ყურებზე ჩამოეკიდა, ხელებს ხან თავში იშენდა, ხან თვალღებში, თან ისე ოსტატურათ, რომ სათვალეები არ ჩამოეყარა.

—სპირიდონი სად არის, სპირიდონი— შეიქნა ჩოჩქოლი ერთ ჯგუფში. ჭკვიანი კაცია, ვნახოთ რას გვირჩევს?

—სპირიდონი ლოგინათ ჩავარდა და მღვდელი დაიბარა საზიარებლათ.

—ვაი ჩვენს მოსწრებს, თვარა იმას რა უჭირს, პატიოსნათ იცხოვრა და პატიოსნათ შორდება ამ ქვეყანას.

(პატიოსნათ ცხოვრება ვაქრის ენაზე ტკბილ ცხოვრებას ნიშნავს—კაი ჭამისმას და შესაფერ ჩაცმა-დახურვას.)

ბატონებო, არტისტულათ დაიწყო გიორგიმ (სცენის მოყვარეც გახლავთ), ლეკვი ლომისა სწორია, ცუდია დაღრეჯილობაო, უთქვამს უკვდავსა შოთასა და მე გაძლევთ წინადადებასა, რომ ამოირჩევდეთ კრების თავმჯდომარესა.

-- ისიღორ ფილხაზიჩი იყოს—გაისმა ორი-სამი ხმა.

გიორგის ფერი ეცვალა, არ მოელოდა ასეთ სიურპრიზს. როგორ, გიორგი აქ იყოს და სხვა თავმჯდომარეობდეს?! მაგრამ ამ დროს ისიღორ ფილხაზიჩმა განაცხადა:

—ბატონებო, მე ჩემი მოკლე ჭკუით მუდამ, რუსები რომ იტყვიან ბეზზავეტრო და უკანა აზრი არა მქონია, საუბედუროთ მე თქვენზე ადრე მივხვდი, რომ ასე იქნებოდა, ერთი სიტყვით, ქუაზე თუ წავა საქმე, სხვამ რომ თქვას, რაც ახლა მე მოგახსენეთ, ის უეჭველათ ჭკვიანი იქნებოდა, მარა მეც მოგახსენებთ და იმედია დამიჯერებთ.

—მართალს ამბობს მედაჩემმა ღმერთმა, —კვერი დაუკრა ფილიპემ. ისიღორ ფირცხალიჩმა განავრძო:

—ჰოდა, რაფია კაცო რომ ხწორებით ისე ეიორია და დაეწყო ჩვენი საქმე, რომ რუსები რომ იტყვიან ულოხო დელო, არც თუ სულ გლაბათ არის ჩვენი საქმე, საჭიროა მხოლოთ, რომ დღეს თუ სხვები გვეჯობიან, შეიძლება ხვალ ჩვენ ვაჯობოთ,

გიორგიმ ერთი დაკვრით შესწყვიტა ეს ენა-მკვერობის შადრევანი.

— ბატონებო, დაიწყო მან ძველი კილოთი: თქვენა ნახეთა, რომა ისიღორ ფილხაზიჩი უარსა ამბობსა თავმჯდომარეობაზედა. არის კიდევ ერთი კანდიდატი: ვინ არის წინააღმდეგი გიორგისა, გთხოვთ ასწიოთ ხელი.

ვისა ქონდა ხელის აწევის თავი. გიორგიმ ოქმში შეიტანა:

— არავინ. მაშასადამე მე არჩეული ვარ ერთხმათა. მე, როგორც თავმჯდომარე, გთხოვთ რომა წესი და რიგი იყოს. ვისა სურს სიტყვა?

ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე, რომლის დარღვევა მხოლოდ იოსებმა შესძლო თავისი ბოხი ხმით.

— სიტყვა რათ გვიქნა, კოოპერატივის დაარსებას რომ ებრებოდნენ, ეს ყველაშვიცილოდით, მარა დღემდე ყური არ გავიბერტყეთ. ახლა ნებართვაც მოსვლიათ და დღეს თუ ხვალ მაღაზიას გახსნიან. თუ ვინმემ იცის რამე საშუალება, რომ ეს ჩავშალოთ, გამოვარკვიოთ და საქმეს შეუდგეთ.

— დანოსი გავაკეთოთ, იგრიალა რამდენიმე ხმა;

— რაკი ნებართვა, აუღიათ, ეტყობა დანოსი აღარა სჭირს. დაასახელეთ სხვა ზომა, — მისცა წინადადება თავმჯდომარემ.

— გავავრცელოთ ხმა, რომ კოოპერატივს შესჯამენ, ფულს გაფლანგამენთქო, — ურჩია ანტიოხმა.

— ვერც ეგ გასჭრს, ისეთი ცნობილი პირები დაუდგენ სათავეში, რომ მათი სახელის გატება შეუძლებელია. დაასახელეთ სხვა ზომა — კიდევ მისცა წინადადება თავმჯდომარემ.

ისიღორ ფილხაზიჩმა ურჩია გლეხებში გავწიოთ ავითაცია, მოემხროთ ისინი და ასე დაებნიათ კოოპერატორები.

— მერე რომელი გლეხი გაგიკარებთ ახლოს? ღმერთმა კაი მოგცეთ, კაი სახელი თქვენ მოიხვეჭეთ ვეჭილობის დროს, — ბოღმით წარმოსთქვა იოსებმა.

— შემეტარი ხართ — გაწიწმატლა ისიღორ ფილხაზიჩი, გლეხები მე არ მილაღატებენ. მე წათ ვუყვარვარ. აი აქ არიან გლეხები, მშრომელი ხალხი — სთქვა და მიაშვრა ხელი ერთი კუთხისაკენ.

ყველამ იქით მიიხედა. იქ სამი კაცი იყო მიკუნქული. წამოღვა ერთი მათგანი და მოახსენა კრებას.

— ჩვენ თითონ მშრომელი ხალხი ვართ და გავლენაც გვაქვს ხალხში. შეგვიძლია ბევრი მომხ-

რე ვიშოვოთ წვრილი კრედიტის ამხანაგობაში. როგორც ისიღორ ფილხაზიჩმა, მე აუხსენი ხალხს, რომ საჭირო აღარ არის ვალის გადახდა, ამით ბევრი მოვიმადლიერე. თითონ მეც არ გადამიხდია ჩემი ვალი. ვისაც ვალი გადახდილი აქვს, ყველა ახლა კოოპერატივზე ბოდავს, მარა ჩვენ შეგვიძლია ისინი სულ გამოვრეკოთ ამხანაგობიდან, რადგანც არ-გადახდის მსურველი მეტი იქნება და მაშინ მთელი ამხანაგობა მე და ჩემს თანამოაზრეებს დაგვრჩება.

წარმოუდგენელია ის ალტაცება, რომელიც ამ სიტყვებმა გამოიწვია კერძოთ თავმჯდომარეში და საერთოთ მთელ კრებულში. კრებამ ერთხმით გადასწყვიტა ნახევარი ტომარა ფქვილით დაასაჩუქრონ კიმოთე ამ ღვაწლისათვის. უხერხულობა მაინც ჩამოვარდა, რადგან გლეხებმა საზოგადოების ყრილობაზე განაჩენი დაადგინეს — კოოპერატივი უკლებლათ ჩაეწერონ.

— რა ვქნათ, რა ვქნათ, ერთობ დიღია საზოგადოება, ყველას რითი მოვიმხრობთ?

აქაც გათამამებულმა კიმოთემ აიღო სიტყვა.

— მოვისყიდოთ, ბატონო, ვეჭილი. დიდი გავლენა აქვს ხალხზე, ის თუ ურჩევს — კოოპერატივი დაგვლუპავსო, უეჭველათ დაიჯერებენ.

— ისე აშენდა შენი ოჯახი, შენი ქუთით და სინდისით იმან იაროს! წაიღაპარაკა ვილაცამ.

— ვიყიდოთ, ბატონო, მთელი კოოპერატივი, — წამოიძახა იოსებმა

— ხომ არ გაგიყებულხარ, რა იყიდის მთელ საზოგადოებას, აქ ხომ ათას ხუთასი კომლია, — გააწყვეტინა სტეფანწმინდამ.

— ვერ გაიგეთ ჩემი აზრი, დაიწყო ისევ იოსებმა: ავიღოთ იჯარით მათი მაღაზია, გადავიხადოთ საიჯარო ფული და ჩვენი კაპიტალით ვაწარმოვოთ მათი საქმე. თან პირობა მივსცეთ, მათ ნაჩვენებ ნიხრზე ვყიდოთ საქონელი. თუ ამ პირობებში ჩავითრით, მერე ჩვენებურათ მოვიქცეთ, ე. ი. ძველ ფასებში ვყიდოთ. გვიჩველებენ პირობის დარღვევას და შექნება სამართალში წიალი, ამასობაში ხალხიც გულს გაიგრილებს და მათი კოოპერატივი ჩაილულის წყალს დაღვეს.

ეს აზრი ყველას მოეწონა და კიდევ დააკისრეს იოსებს, მოახერხოს როგორმე და იშოვოს კოოპერატივი იჯარით.

დარაჯი



ფ ო ს ტ ა

(ქურნალი „განათლების“ მაგიერ.)

ს. აბულაძეს. თქვენი ლექსი „გლოვა“ ასე იწყება:

„ცოდვა არ არის, ვგ ენა  
დადუმდეს ს ა უ კ უ ნ ე დ ა?  
ფიქრი შესწყვიტოს მაგ ტვინმა,  
ხელები ეწყოს დ უ ნ ე დ ა?“

ლექსი უცვლელად იბეჭდება, მაგრამ ის არ იფიქროს, თითქო ჩვენ არ ვიცოდეთ „საუკუნოდ“ უნდა ამ შემთხვევაში, თუ „საუკუნედ“. ეს „დუნედა“ რომ არ იყოს მიგუებული, უთუოდ გავასწორებდით.

ლ. ძიძიგურს. სანოვაგის ასეთი სიძვირე რომ არ იყოს, ლექსი „სულ გარდავქმნიდი“ ჰაერმაგვარ ნევეთიერებათ გარდაიქმნებოდა ჩვენს ბუხარში. თქვენა სწერთ:

„ვით ღიანა გაფორინდები,  
გადავივლი ამა მხარეს,  
შავ ღრუბლებსა ავცოლდები,  
მოვეხვევი ყ ე ლ შ ი მთვარეს  
იქ მძლავრ ქარად გადაიქცევი,  
მიმოვფანტავ რისხვით ღრუბლებს...“

ჯერ ერთი რომ თუ ყელში ჩაუვარდით მთვარეს, უთუოდ ჩაგყლაპავთ, ხოლო თუ ყელზე მოხვებას

მოისურვებთ, თითო ხელი 5127 ვერსის სიგრძე უნდა გქონდეთ, ვინაიდან მთვარის საყულო 10258 ვერსს უდრის.

გარდა ამისა მთვარე ჰაპიროზს არ ეწევა და არავითარი ღრუბელი მას არ ახვევია. მიუხედავად ამისა თქვენი ლექსი უცვლელათ იბეჭდება.

ილ ალხაზიშვილს. „ქართული ენა და სამეცნიერო ტერმინოლოგია“ ფრიად სასიამოვნო სტატიაა. ჩვენ მუდამ სიამოვნებით დავუთმობთ ადგილს ქურნალში ასეთ შენიშვნებს, მაგრამ უხერხულ მდგომარეობაში ვვარდები თითონ მე, როცა იძულებული ვარ შენიშვნას შენიშვნა გავუკეთო. აი მაგალითად:

„ახლა კი თითონ იცის როგორც და იწყობს ცოცხალ ხის სისხლის (წვენის) წოვნას.“

ჩემის აზრით „დაწყება“ და „დაწყობა“ სხვა და სხვა სიტყვებია.

იხმარება ასე: ილ. ალხაზიშვილი დაიწყობს წვიან ჯამებს და დაიწყებს წვენის წოვას.

პატივისცემით ლ. ბოცვაძე  
მის მაგიერ ხელს ვაწერ ეშმაკი.

ო მ ი ს ი ლ ი უ ს ტ წ ა ც ი ა



ქალაქი ტერმონდი ყუმბარების დაშენის შემდეგ.



აგი მეცენატი  
 და ქველმოქმელია...  
 გულ-მკედრი „ზნაკებით“  
 რო მოუქედია.

არხენათ ღადის  
 ან ვინ რას შეჰბედავს,  
 როცა მის სამოსელს  
 და გრძელ კულს შეჰბედავს?!



რედაქტორ-გამომცემელი—**ნ. დ. უღენტისა.**

Печатать разр. воен. цензурой.

Типогр. Т—ва „Прогрессъ“, Лорисъ-Меликовск. № 1.